საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია

რეგისტრაციის № 5/9-806 [3.12.03]

Registration # 5/9-806 [3.12.03]

Association of Family Doctors of Georgia

თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი 29 / 29 Chavchavadze Avenue, Tbilisi-0179, Georgia
ფაქსი/Fax: +995 790-22-68-21; ელ-ფოსტა / E-mail: guram.kiknadze@yahoo.com

8 დეკემბერი, 2025 წელი

რეცენზია
გაიდლაინის „მეტაბოლური სინდრომის გამოვლენა და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ შესახებ

მეტაბოლური სინდრომი წარმოადგენს რისკ-ფაქტორთა კლასტერს (აბდომინური სიმსუქნე, დისლიპიდემია, ჰიპერტენზია, გლუკოზის ცვლის დარღვევა), რომელიც პირდაპირ კავშირშია არაგადამდები დაავადებების გლობალურ ეპიდემიასთან. საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური სურათის გათვალისწინებით, სადაც მაღალია სიმსუქნისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევალენტობა, აღნიშნული სინდრომის დროული იდენტიფიცირება და მართვა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მეტაბოლური სინდრომის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაში. პაციენტთან უწყვეტი და ყოვლისმომცველი ურთიერთობა ოჯახის ექიმს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, შეაფასოს პაციენტის კარდიომეტაბოლური რისკი და მოახდინოს დროული ინტერვენცია, რაც გულისხმობს როგორც ცხოვრების წესის მოდიფიკაციას, ისე მედიკამენტურ მკურნალობასა და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტთან დროულ გადამისამართებას.

სწორედ მოცემულ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი გაიდლაინი, რომელიც შემუშავებულია „საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის“ მიერ, „საქართველოს ჰიპერტენზიის საზოგადოებასთან“ თანამშრომლობით. დოკუმენტი ეყრდნობა უახლეს და მაღალი სანდოობის საერთაშორისო წყაროებს, მათ შორის: ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების (ESC), დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF), ევროპის ათეროსკლეროზის საზოგადოების (EAS) და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების 2ნ019-2025 წლების რეკომენდაციებს.

აღსანიშნავია, რომ გაიდლაინი გამოირჩევა კომპლექსური მიდგომით. გარდა კლასიკური კომპონენტებისა (დიაბეტი, ჰიპერტენზია, დისლიპიდემია), მასში დეტალურად არის განხილული ისეთი თანამედროვე და აქტუალური საკითხები, როგორიცაა: მეტაბოლურ სინდრომთან ასოცირებული ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება (MAFLD), გულის უკმარისობა შენახული განდევნის ფრაქციით (HFpEF), ძილის ობსტრუქციული აპნოე (OSA), ჰიპერურიკემია და საკვერცხის პოლიკისტოზი. ამგვარი ფართო ფოკუსი უზრუნველყოფს, რომ გაიდლაინით მოწოდებული რეკომენდაციები სრულად ფარავდეს მეტაბოლური სინდრომის მულტიდისციპლინურ ბუნებას.

გაიდლაინი გვთავაზობს სტრუქტურირებულ და პრაქტიკულ მიდგომას: დაწყებული რისკ-ფაქტორების სკრინინგით (IDF კრიტერიუმებზე დაყრდნობით), დამთავრებული მკურნალობის თანამედროვე სქემებით. განსაკუთრებით ღირებულია სიმსუქნის მართვის ნაწილში ახალი თაობის მედიკამენტების (GLP-1 აგონისტები) და ბარიატრიული ქირურგიის ჩვენებების განხილვა. დანართი 1-ის სახით წარმოდგენილი შეჯამება კი წარმოადგენს ექიმისთვის ხელსაყრელ, სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტს ყოველდღიურ საქმიანობაში.

გაიდლაინის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მართვის მკაფიო ალგორითმები და აუდიტის კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის კონტროლს. დოკუმენტში ნათლად არის გამიჯნული პირველადი ჯანდაცვის ექიმის კომპეტენცია და ის მდგომარეობები, რომლებიც საჭიროებენ ვიწრო სპეციალისტების ჩართულობას.

ვფიქრობთ, განხილული გაიდლაინი წარმოადგენს უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, მაღალი აკადემიური ღირებულების მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტს. მისი დანერგვა პირველად ჯანდაცვაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტთა გამოსავლებს, ხელს შეუწყობს გართულებების პრევენციას და შეამცირებს კარდიოვასკულურ სიკვდილიანობას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ კლინიკური მდგომარეობის მართვის ეროვნულ რეკომენდაციის (გაიდლაინის) „მეტაბოლური სინდრომის გამოვლენა და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

გივი ჯავაშვილი

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი